საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
მანათლებლის ხარისხის მანვითარების
ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 6 15 00383106

11/05/2015

სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრს

გაცნობებთ, რომ სსიპ - განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის 2010 წლის 26 აგვისტოს №21/ს გადაწყვეტილებით, ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალ - სასწავლო უნივერსიტეტს მიენიჭა ინსტიტუციური აკრედიტაცია 5 წლის ვადით. ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 89-ე მუხლის მე-20 და 88-ე მუხლის მე-3 პუნქტების შესაბამისად, ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის თბილისის ფილიალი - სასწავლო უნივერსიტეტი ჩაითვალა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად ინსტიტუციური აკრედიტაციის დარჩენილი ვადით 2015 წლის 26 აგვისტომდე.

ამასთან, გაცნობებთ, რომ დაწესებულებამ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის განაცხადი, რომლის წარმოებაც შეწყდა დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99 ბრძანებით დამტკიცებული "საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების მიზნით ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის პირველი სექტემბრიდან პირველ ოქტომბრამდე და პირველი იანვრიდან პირველ თებერვლამდე. შესაბამისად, 2015 წლის 26 აგვისტოდან ზემოაღნიშნული დაწესებულება აღარ იქნება უფლებამოსილი განახორციელოს საგანმანათლებლო საქმიანობა.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება 2015 წლის "ერთიანი ეროვნული გამოცდების ცნობარში" და უზრუნველყოთ აბიტურიენტთა ინფორმირება.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
შარვაშიძე გიორგი

საქართველო, თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ.№1; ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 200220(3546); (+995 32) 2 200220(3540) ; www.eqe.ge; info@eqe.ge
1, M. Aleksidze str; 0193 Tbilisi, Georgia, Phone/ Fax:(+995 32) 2 200220(3546);(+995 32)2 200220(3540) www.eqe.ge; info@eqe.ge